27/02/2024

გამოვიდა პ.ვ. კუზენკოვის ახალი წიგნი მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის პირველობის პრობლემის შესახებ



გამომცემლობის სახლმა „პოზნანიემ“ გამოსცა წიგნი «„უპირატესობა“ და „პირველობა“ საეკლესიო-კანონიკური შინაარსის დატვირთვით».

საეკლესიო უპირატესობისა და პირველობის თემა ერთ-ერთი ძირითადია უკანასკნელი ათასწლეულის საღვთისმეტყველო პოლემიკაში. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეკლესიოლოგიური პოზიციის ცვლილებების გამო, მსოფლიო მართლმადიდებლობაში პირველობის საკითხმა გამოიწვია დავა და განყოფა თავად ეკლესიაში.

გამოცემაში განხილულია თანამედროვე საეკლესიო-პოლიტიკურ ურთიერთობებში საკვანძო ტერმინების ენობრივი განვითარება და არსებობა: „პირველობა“ («πρωτεῖον») და „უპირატესობა“ («πρεσβεῖα») ანტიკურ და შუა საუკუნეების ტექსტებში. ამ ტერმინების სწორი გაგება საშუალებას იძლევა გადავიტანოთ დისკუსია რომელიმე ეკლესიის სხვა ეკლესიებზე მეთაურობის შესახებ მკაცრ მეცნიერულ ჩარჩოებში, რითაც თავიდან ავიცილებთ მისი აზრის დამახინჯებას და განგებ არასწორ ინტერპრეტაციებს.

წიგნის კიდევ ერთი ღირებულებაა ვრცელი დანართი, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით შერჩეულ და თარგმნილ ციტატებს და საშუალებას აძლევს მკითხველს თავად მიადევნოს თვალყური წიგნში განხილული ლექსემების არსებობას, – იუწყება საგამომცემლო სახლის „პოზნანიეს“ ვებგვერდი.

პავლე ვლადიმერის ძე კუზენკოვი არის რუსი ისტორიკოს-ბიზანტოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, რომლის სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენს ისტორიული ქრონოლოგია, ბიზანტიური ქრონოგრაფია, ბიზანტიის ისტორია, რუსეთ-ბიზანტიური კავშირები, ეკლესიის ისტორია, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობები, ძველი აღმოსავლური (არაქალკედონური) ეკლესიები.

გამოცემის სამეცნიერო რედაქტორია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, მართლმადიდებლური წმინდა ტიხონის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სისტემატური ღვთისმეტყველებისა და პატროლოგიის კათედრის დოცენტი მღვდელი პავლე ერმილოვი, პროექტის კოორდინატორებად გამოვიდნენ მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების სამდივნოს თანამშრომლები მართლმადიდებლთაშორისი ურთიერთობის საკითხებში მღვდელი თეოდორე შულგა და დიაკონი სერგი მონახოვი – სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილის, ღვთისმეტყველების კანდიდატის დეკანოზ იგორ იაკიმჩუკის ხელმძღვანელობით. დასკვნით რედაქტირებაში მონაწილეობა მიიღო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მრჩეველმა, ღვთისმეტყველების დოქტორმა დეკანოზმა ნიკოლოზ ბალაშოვმა. გამოცემა მომზადდა და განხორციელდა ქრისტიანული კულტურისა და მემკვიდრეობის მხარდაჭერის ფონდის დახმარებით.

წიგნი სასარგებლო იქნება სასულიერო და საერო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის, ასევე ეკლესიის ისტორიით დაინტერესებული ყველა პირისთვის.

mospat.ru